

მ რ ი

№ 23

კვირა 11 მკათათვე

№ 23

მ ი ნ ა ა რ ს ი.

სამთო მადნეულობის წარმოება კავკასიაში
 სიმ. ავალბანასა
 მკვლევანი . ს. მგალობლიშვილისა;
 სიკვდილით დასჯილი . ივ. ელიაშვილისა;
 ბედი მკაცრისა . . . ა. შანშიაშვილისა;
 უფსკრული ვ. აბაშისპირელისა;
 ბრძნული სიტყვები, *
 იოჰან ზაულის წიგნიდან, (ძველებული გერ- *
 მანული იგავ-არაკები). . . ვალიკოსი;
 დამაფიქრებელი მოგონება. * *

1910 წ.

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

სამთო მადნეულობის წარმოება კავკასიაში.

კავკასიის სიმდიდრის შესახებ ვის არ გაუგონია საარაკო ამბები. კავკასიის ქეშმარიტი ცხოვრება კი სულ სხვა ამბებს მოგვითხრობს. კავკასია ღარიბი და ლატაკი კუთხეა რუსეთის იმპერიაში. რაწაირად უნდა ავხსნათ კავკასიის სიღარიბე და სიმდიდრე ერთსა და იმავე დროს. მართალია, კავკასია ბუნებით ძლიერ მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ სიმდიდრენი შიგ დედა-მიწის გულში და მკერდში არის ჩაფლული, ემალება ადამიანის თვალს და უქმ ქონებას წარმოადგენს. სიმდიდრის ამოკვეთა მიწიდან ძნელი საქმეა ჯერ-ჯერობით კავკასიის მცხოვრებთათვის. უმთავრესი მიზეზი საქმის ასეთი მდგომარეობისა ის არის, რომ კავკასიის მიდამოები ჯერ არ არის საკმაოდ მეცნიერულად შესწავლილი. დეოლოგიური გამოკვლევანი კავკასიის ტერიტორიისა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არის. თუ ცოტა რამ ამ საქმისათვის გაკეთებულა აქამდის, ისიც ეკუთვნის უცხოელებს, სამზღვარ გარეთელ მეცნიერებს, რუს-მეცნიერებს, ადგილობრივ მცხოვრებთ კი, კავკასიის შვილებს, თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ. რა თქმა უნდა, სანამდის კავკასიის ტერიტორია სავსებით მეცნიერულად შესწავლილი არ იქნება, მანამდის მისი სიმდიდრენი დაკარგულნი იქნებიან. დღეს-დღეობით ვიცით ისეთი ადგილები კავკასიაში, სადაც ბევრი რკინა, სპილენძი, ქვანახშირი მოპოვება, მაგრამ მათი დამუშავება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან მუშაობა და ხარჯი აღემატება შემოსავალს; ასეთი უკუღმართი მდგომარეობის მიზეზი ის არის, რომ კავკასიას არა აქვს საკმაოდ მოწყობილი და გამართული გზები; მიუვალ და მიუსვლელ ადგილს სიმდიდრე — რა გვარი სიმდიდრე და ქონებაა, თუ კაცის ხელი მას ვერ მისწვდება. მაშასადამე, კავკასიის სიმდიდრის გამოკვენა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მისვლა-მოსვლის საშუალებანი გაუმჯობესებულნი იქნებიან. ამ საგნის შესახებ ბევრი თქმულა, დაწერილა, მაგრამ ამაოდ.

გზების უქონლობას თან დაყვება მეორე უფრო დიდი გასაკირი; კავკასიის მცხოვრებნი არ არიან ტექნიკურად მომზადებულნი, არ არიან შეიარაღებულნი შესაფერი ცოდნით. უცოდინარობა, სიბრძავე ისეთი დიდი სენია, რომ უპირველეს ყოვლისა ამას უნდა შეებრძოლოს მთავრობა. მაგრამ... ვხედავთ კი სხვას. ტექნიკური და პროფესიონალური სასწავლებლები ძლიერ ცოტა არის რუსეთში და მით უმეტესად კავკასიაში, მაშასადამე კავკასიის სიმდიდრე რომ უძრავად არ დარჩეს, მთავრობამ უნდა გაამრავლოს რაც შეიძლება მეტი ტექნიკური და პროფესიონალური სასწავლებლები. დღეს დღეობით, მართალია, სამთო-მადნეულობის წარმოება არსებობს კავკასიაში, მაგრამ თითქმის 3/4 წარმოებისა უჭირავს უცხოელებს, საზღვარ-გარეთელ მრეწველებს, და რაც დღემდე გაკეთებულა კავკასიის სიმდიდრის სარგებლობის და ექსპლუატაციის შესახებ, დასაწყისი ეკუთვნის საზღვარ გარეთიდან მოსულთ. საუცხოვო არაფერი არ არის ასეთ მოვლენაში, ვინაიდან უცხოეთიდან მოსულთ აქვთ ტექნიკური ცოდნა, ენერჯია და შეძლება. კავკასიის უძლიერება იმაში გამოიხატება, რომ მას არა აქვს უმაღლესი სასწავლებელი. კავკასიაში უმაღლესი სასწავლებელი რომ იყოს, მაშინ შესაფერ ნიადაგზედ იქნება დაყენებული კავკასიის ტერიტორიის მეცნიერულად შესწავლა, მაშინ სისტემატიურად იქნება დაყენებული კავკასიის შესწავლის საქმე; და ნათლად გამოირკვევა, თუ რა გვარი სიმდიდრე იმალება კავკასიაში და რა და რა კუთხეებში. კავკასიის სამთო-მადნეულობის და სხვა გვარი მრეწველობას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო კავკასიის მცხოვრებთათვის, მათი გონებრივი და ზნეობრივი წინ მსვლელობისათვის, არამედ რუსეთის იმპერიისთვის და მსოფლიო ბაზრისათვისაც.

რაც ითქვა კავკასიის სიმდიდრის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ იგივე ითქმის გარკვევებით საქართველოს სამთო-მადნეულობის წარმოების შესახებ. არ შემძლია არ აღვნიშნო ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა. ყოველ-წლიურად კავკასიაში

და საქართველოში კერძოდ მოემგზავრება ბევრი მეცნიერი, ძლიერ ხშირად სამზღვარ-გარეთიდან, ისინი ცდილობენ შეისწავლონ ჩვენი მხარე, ბევრ ფულს და შრომას კარგავენ ამისათვის, სწერენ გამოკვლევებს. დამისახელეთ, რა გააკეთეს ამის შესახებ ჩვენმა მამულისშვილებმა?

სტატისტიკური ცნობები საკმარისად დაგვიხასიათებს ნათქვამს. 1908 წ. კავკასიაში იყო 15 სპილენძის სადნობი ქარხანა.

თფილისის გუბერნიაში, ბორჩალოს მაზრაში

1) ქალავერდის ქარხანა ეკუთვნის კავკასიის სამთო-მადნეულობის სამრეწველო საზოგადოებას; ამოიღეს 2.989.530 ფუთი მადანი და მოამზადეს 116,018 ფუთი და 21 გირვანქა სპილენძი.

2) შამლულის იმავე საზოგადოების, ამოიღეს 292.900 ფუთი მადანი.

3) შავალი-ელთარის (ხაჩიგების), კერძო პირის — ამოიღეს—332.275 ფ. მადანი და მოამზადეს 4689 ფ. 2 გირვანქა სპილენძი.

ბათუმის ოლქში — ერჩინის, ბ. რინერის დამუშავებული იყო 969 ფ. სპილენძი და სხვა.

1908 წ. განმავლობაში მოქმედებდა 10 ქარხანა და დაამუშავა 309.729 ფუთი და 28 გირვანქა სპილენძი; 1907 წ.—306.548 ფუთი და 27 გირვანქა. სპილენძის მადანი სხვა ადგილებშიც იყო დამუშავებული, საერთოდ ამოღებული იყო 1908 წ. სპილენძის მადანი 10.547.298 ფუთი, 1907 წ.—10.654,081 ფ, სპილენძის მადანზე მუშაობდა და სპილენძს ამზადებდა 1908 წ. განმავლობაში 5.542 კაცი.

სიმ. ავალიანი.



მოგონებანი

III

რას წარმოადგენდა ყმა-გლეხი ბატონუმობის დროს.—მეაბრეშუმეობა, სხვა და სხვა სასარგებლო მცენარეების თესვა.—თ. დავით დიასამიძე.—რუსის ჯარისკაცთა სოფლად ჩაყენება.—გავლენა ხალხზე ამ მოვლენისა.—ლეკთა თარეში ქართლში.—ოსთა ბრბოები და ქართლის სოფლებში თარეში.—

სულიცა და ხორციცა ძველად გლეხისა ბატონის ხელში იყო. იგი წარმოადგენდა უბრალო ნივთსა. ვაი იმას, ვისაც ჰყავდა გულქვა, აჯამი ბატონი: ჰყიდდა ხარივით, ძროხასავით, გადასცვლიდა ძაღლებზე, ცხენზე. ეს მე აწერილი მაქვს ერთს პატარა მოთხრობაში, რომელიც დაიბეჭდა 1904 თუ 1905 წ. «ივერიაში» სათაურით—„მაგრამ შენც მოგივა დრო“, ამიტომ აქ დაწვრილებით აღწერას აღარ გამოვეციდები. ზოგი ბატონი ძალიან ლმობიერი იყო, არ აწუხებდა ყმას, იამებოდა მისი კარგი

და ეწყინებოდა მისი ავი; ამისთანა ბატონს გლეხს ყმას ვერვინ შეუწუხებდა და თუ შეუწუხებდა, არ დაუთმობდა, არ დაუთმობდა იმას, თუნდ მთავრობის კაცი ყოფილიყო. მახსოვს ერთი გადმოცემული ამბავი: ატენის ხეობის ბატონს გიორგი ერისთავს, რომელსაც „დიდ კნიაზს“ ეძახდა ხალხი, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მეფეებთან და დიდად იყო დაჯილდოვებული, თურმე დიამბეგმა სელენენემა*) ყმა გაულახა „როზგითა“. ბატონმა გამოიკვლია, რომ მისი ყმა უდანაშაულოდ დასაჯეს და დასაჯეს მისდა დაუკითხავად. ერთს მშვენიერს დილას მიიწვია გ. ერისთავმა დიამბეგი და პასუხი მოსთხოვა. დიამბეგი, ცოტა არ იყო, აჯრ-ზაურზე შედგა. ბატონს წინდაწინვე შეემზადებინა როზგები. ანიშნა ბიჭებს. შენი დიამბეგი წამოაქცევინა და იმდენი მიატყა, რამდენიც მის ყმასა დიამბეგმა. დიამბეგმა ჩაყლაპა თურმე ეს ამბავი.

გლეხი-ყმა ემორჩილებოდა ბატონსა, ეწეოდა უსიტყვოდ თავის უღელსა. მაგრამ დაგუბებულს ვარამს მაშინ აღმოანთხევდა, როდესაც მის სულს მძლავრად შეარყევდნენ: ან გაჰყიდიდნენ, ან რომელიმე მისი ოჯახის ასულს ნამუსს შეურაცხყოფდნენ. ყველაფერს ითმენდა ყმა, გაყიდვასაც, ცემასაც, პირუტყვზე გადაცვლასაც — ყველას ამას ხშირად, ძალიან ხშირად უსიტყვოდ ითმენდა, მხოლოდ ცრემლი, ობოლი ცრემლი, დაკიდებული მის წამწამზე, აღნიშნავდა ხოლმე იმის სულის მდგომარეობას. მხოლოდ მაშინ ერჩეოდა იგი პირუტყვისაგან,—მართალი უთქვამს პოეტსა:

ვაჟკაცთ ცრემლსა რად უძრახვენ?
რკინაც სტყუდება, როს სცემს გრდემლი:

**კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი.**

მაგრამ როცა ბატონი შეეხებოდა ყმის ოჯახის ნამუსსა, ამას კი ვერა სთმობდა; ოჯახის შერკხვენას ვერ ითმენდა და ეს მოვლენა თავდებოდა ბატონის სიკვდილითა. ბატონყმობის დრო სავსეა ამისთანა ამბებითა.

ძველი ბატონი არა ფიქრობდა ყმის ეკონომიურ კეთილდღეობაზე, წარმატებაზე. არ უმართავდა ხელს თავისს ყმასა, ესწავლნა სხვა და სხვა ხელობა, გაეძლიერებინა მეფუტკრეობა, აბრეშუმის ჭიის გავრცელება, სხვა და სხვა სასარგებლო მცენარეულობის თესვა და სხვ. მხოლოდ ერთად-ერთი კაცი იყო, რომელიც ირჩეოდა აუარებელ ბატონებისაგან, იგი წარმოადგენდა ერთად-ერთს თეთრს ზოლს ძველის ცხოვრების შავბნელ ფარდაზე. ეს კაცი იყო თავადი **დავით დიმიტრის ძე დიასამიძე**,

*) ეს გვარი საქართველდა, ეხლა ცხოვრობენ ს. ძველრაში, გორის მაზრაში.

რომელიც ცხოვრობდა ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში და იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

იგი იყო ქართლში პირველი პიონერი აბრეშუმის ჭიის შემოღებისა, თამბაქოსა, ენდროსი და სხვა მცენარეულობის თესვის შემომღები. თითქმის ორასი დღიური თუთის პლანტაცია ჰქონდა გაშენებული სოფ. საქაშეთში, სადაც სცხოვრობდა, ყველა გლენს უსათუოდ ჰქონდა დათესილი თუთა ჭიისათვის, ყველა მისი ყმა ვალდებული იყო, ჰყოლიყო ჭია, ეთესნა თამბაქო და ენდრო. ამასთან ყველა ნაირი ხელოსანი იყო მის სოფელში, გავრცელებული იყო ხალიჩების, ფარდაგების, ჯეჯიმების ქსოვა და აგრეთვე ყაჭის მზადება და ყაჭის ამოხვეულ ძაფისაგან ქსოვა სხვა და სხვა ფარჩეულობისა. გლენი ჰყიდდა ყველა ამას თავისთვინა. ახლო-მახლო სოფლებმაც მიჰბადეს საქაშენლებს და თითქმის ყველგან გავრცელდა აბრეშუმის ჭია. თვით დ. დიასამიძის სახლში, მისმა ოჯახმაც იცოდა ყველაფრის დამზადება. შესანიშნავი მქსოველი იყო ხალიჩებისა, თუ სხვა რამისა მისი ქალიშვილი ნინო, ერისთავის ცოლი.

დავით დიასამიძე მთავრობას სთხოვდა შემწეობას, სთხოვდა გამოეგზავნათ მისთვის სხვა და სხვა სასარგებლო ხალხისათვის მცენარეულობის თესვები. მე მაქვს ხელთ ერთი დოკუმენტი ამის შესახებ რუსულს ენაზედ, თვით დიასამიძისაგან გადმოწერილი ნამდვილიდან. ამ დოკუმენტს ასე აწერია: **„მზრუნველობანი სოფლის მეურნეობაზე მე-40 წლებში“**. (*«Заботы о сельском хозяйстве въ 40 годах.»*).

მაშინდელ ხელმწიფის მოადგილეს (ნამესტნიკს) კავკასიისას მაისის 25-ს 1848 წ. № 6025 მიუწერია თ. დ. დიასამიძისათვის, გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, შემდეგი ქალაქი:

„მოწყალეო ხელმწიფევე,

თავადო დავით ივანეს ძე („ივანეს ძე“ შეცდომით არის, უნდა იყოს „დიმიტრის ძე“).

«განვიღოს იანვრის თვეში მე პატივი მქონდა გამოემგზავნა თქვენის ბრწყინვალეობისათვის ერთი მეოთხედი ($\frac{1}{4}$ გირ.) გირვანქა ყუბანის ანუ გვანის თამბაქოს თესლისა. ამ ჟამად, თავადის ნამესტნიკის მონღობილობით, ვისწრაფვი გამოგიგზავნოთ კიდევ იმავე თესლეულობის ერთი მეოთხედი გირვანქა დასათესად შემოგდომაზე. რა შედეგი მოჰყვება თესლს, უმოარჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეობაზე, შემატყობინოთ დაწვრილებით, რომ მოვახსენოთ თავადს მიხეილ სვიმონის ძეს“.

თ. დავით დიასამიძე თამბაქოს შესახებ პირდაპირ პასუხს არ აძლევს. მხოლოდ გორის მაზრის უფროსს აძლევს შემდეგ ცნობებს ენდროს შესახებ. ამ ქალაქს აწერია რუსულად: „პასუხი“ (*«ОТВѢТЪ»*):
„ვიცოდი რა, რომ როგორც ჩემს მამულში.

ისე სხვაგანაც მოდიოდა გარეული ენდრო, ავდექი და დარუბანდიდან გამოვიწერე 1844 წელსი წვა ფუთი ენდროს თესლი. დავთესე ოთხი დღეცა (რვა დღიური) ქვიშიანი სარწყავი მიწა: ღვინობისთვის პირველ რიცხვებში 1845 წ. დათესილი მიწის ერთს ნახევარში, რომელიც ჯერ მოგრწყე და ქართულის გუთნით მოვხანი, ენდროს ჯეჯილი აღმოჩნდა, მერე თოვლი დაადო და მხოლოდ გაზაფხულზე ვნახე, ე. ი. მაისში, თესლმა ნაყოფი გამოიღო. როგორც მე შევნიშნე, ერთნაირად კარგად ვერ იხარა ორთავე მიწაში ენდრომ. ღვინობისთვის დათესილი უფრო იმედს იძლევა მოსავლისას, ვინემ აპრილში დათესილი. თუმცა ამ წელში უნდა მომეგროვებინა პირველ მიწაზე დათესილი ენდრო, მაგრამ ვერ შევძელე, ხელი შემეშალა ჩემს სოფელში გავრცელებულმა ხოლერამ. მაგრამ ოთხ ფუთამდე ენდროს თესლი მაინც მოვაგროვე და მაშინვე დავთესე იმავე მიწაზე. მეორე მიწიდან მოგროვილი ენდრო ვიხმარე სხვა და სხვა ნაირის ღირსების აბრეშუმეულობის საღებავად. ძალიან საუცხოვო, კარგის თვისების საღებავი აღმოსჩნდა, გარეულს ენდროს გაცილებით სჯობიან. ჩემი გლენები მოგროვილს გარეულს ენდროს საშინაოდ ხმარობენ, ზოგს ჰყიდიან ს. ცხინვალში. თესლი ძვირად ფასობს, ამას გარდა ძნელიც არის იმის შოვნა ჩვენს მაზრაში, ამიტომ მცხოვრებლები ხალხით ვერ ეკიდებიან ენდროს მოშენებას, თუმცა დიდი სურვილი კი აქვთ იმის გაშენებისა. ჩემის აზრით, ძალიან კარგი იქნება, ჩვენს მაზრაში, რაც კი შეიძლება, ბლომად გავრცელდეს ენდროს თესვა. ერთი უმთავრესი საშუალება იქნება ხალხის სიმდიდრისა და კეთილდღეობისათვის, უფრო იმიტომ, რომ ამ მრეწველობას დიდი ჯაფა და მუშაობა არ უნდება და არც ჰაერის მოვლენანი მოქმედებენ იმაზე ცუდად, როგორც სხვა მცენარეებზე. მე ამაში გამოცდილებით დავრწმუნდი“.

მაგრამ შემდეგ მოისპო ენდროს და სხვა ბალახის თესლის თესვა. ცრუმორწმუნოებისა გამო მეფუტკრეობასაც და აბრეშუმის ჭიასაც თავი მიანებეს და დ. დიასამიძის თუთის პლანტაცია ეხლაც ცუდად არის. აღარ გამოუჩნდა ძალუმი კაცი, რომ ხალხი გაეყოლებინა სამრეწველოდ.

ხალხს, თუ კერძო ადამიანს, ერთი ჭორი ვერას უზამს, მაგრამ ჭირზე რომ ჭირი დაგერთობა, ძნელი ის არის. ბატონ-ყმობის სუსხისაგან გაქნავებულს ხალხს ზნეობის გამხრწნელი სენიც შეუდგა: ყირიმის ომიანობის შემდეგ სოფლად ჩასახლეს ომის ველიდან დაბრუნებული რაზმები. თითო ოჯახში ორიდან ოთხამდე რუსის ჯარის-კაცი იდგა ბინად. ჯერ ეხლანდელი ჯარის-კაცი რა კულტურის მქონებელია, მაშინდელი რა იქნებოდა. მარცხენა ხელს მარჯვენიდან ვერ არჩევდნენ. მახოვს, აფი-

ცერმა მარჯვენაზე ქვა შეება, მარცხენაში თივის ხელაური მისცა. ეჩიჩინებოდა—ქვა მარჯვენა ხელში გიჭირავს, მარცხენაში თივაო. მერე ეტყოდა: აბა, მიჩვენე მარჯვენა ხელიო. ჯარის-კაცი თივიან ხელს აუშვერდა. აბა ამისთანა ადამიანს რა უნდა მოსთხოვო! აბა ამისთანა ადამიანი რა სულიერ საზღოს შეიტანდა ჩვენს დაბეჩავებულს ოჯახში. გავრცელდა სოფლად საშინელი ქურდობა, გააწყეს სოფლად ქათამი, ბატი, ინდოური, გოჭი, ქვას ქვეშ აღარ აყენებდენ. იჭერდენ ქურდობაზე, სცემდნენ, სტყებდნენ. აფიცრები დღეში რამდენიმე სალდათს სახალხოდ როზგავდენ, მაგრამ მგელი მაინც სულ ტყისკენ იცქირებოდა. სალდათს კუჭი მძღარი არ ჰქონდა, შიშშილი ხომ უსაშინელესი გრძობაა და რასაკვირველია, რომ ქურდობისათვის მიემართნა კუჭის ამოსავსებლად. ქურდობამ ჭირი მოგუპამოს, ქალები იყვნენ საშიშ მდგომარეობაში. ღამე ძარებში იმალებოდნენ, გასათხოვარ ქალებს აქეთ-იქით ხიზნავდნენ. ღამე ჩვენი სახლ-კარი ავსებით აივსებოდა ხოლმე ქალებით და ქალიშვილებით ნამუსის დასაცავად. მაგრამ ყველას ხომ არა ჰქონდა შეძლება სადმე გაეხიზნა სახლობა. იყო ერთი ვაი-უშველელი და ჯოჯოხეთი სოფელში.

მთელი სოფლის ხალხი, ქალიდან კაცამდე, შეიკეტებოდა სახლებში, როცა ჯარს, პატარ-პატარა რაზმებად დაწყობილებს გამოიყვანდნენ, სოფლის შეიდნებზე, ან ნაპირებში, გახდიდნენ და სხეულს უშინჯავდნენ (на тѣлесное освидѣтельствовање).

— ნამუსი როდის ჰქონიათ მაგათ, რომ ეხლა გამოიჩინონო, იტყოდა ხოლმე მოხუცებული პაპა სვიმონი...—ჩემმა შვილმაც,—მამა ჩემზე იტყოდა,—გაუბოძა ოთახი აფიცურსა. ამყარა აქაურობა; პერანგის ამხანაგს ქალი რომ არ ჩაიცვამს, რა უნდა ეთქვას ამისთანა ადამიანსა... ღმერთო, შენ დაგვიხსენ უარესისაგან.

მახსოვს, ერთხელ ღორის ღორი გაგვიფუქდა, მატლი დახვეოდა. პაპა სვიმონმა გასცა ბძანება, ძაღლებს არ გადუყაროთ, აყროლდებიან, ან მოიწამლებიანო. წადით **პოშოლებს** დაუძახეთ,—ამ სახელით მონათლა რუსის სალდათები და არ ვიცი კი რად,—იმით ძაღლზე მაგარი კუჭი აქვთ, შესჭამნო.

მართლაც, უტყუარს მოგახსენებთ, „პოშოლებმა“ ღორს მატლი გააყრევინეს და გემრიელად შეექცნენ გახილულს ხორცსა.

— ეიბე, ეიბე! ჰკვირობდა სოფლის ხალხი. ესენი, ჩემო ძმაო, ადამიანის ხორცსაც არ დაინდობენო.

ერთს წლამდე დაჰყო ჩვენს სოფლებში რაზმებმა—მარიამობისთვიდან შემდეგის წლის აპრილის დამლევამდე. არც ლეკიანობას, არც ჭირს და ხოლერას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველ რიცხვებში შეუბრალებლად სცელავდა ხალხსა, არ მიუ-

ყენებია იმოდენა ზარალი, რაც სალდათის ჩაყენებამ. ხალხი გატყავდა ქურდობისაგან, ზნეობა გვიხრწნა და რამდენიმე წელიწადს ხალხი უსაქონლოდ მოვიდა.

დ. დიასამიძის ენდროს და სხვათა სასარგებლო მცენარეთა გავრცელებას რა გაახარებდა, როცა ჩვენი „მოყვრები“ უცნაურის კულტურის თესლსა სთესავდენ სოფლის ფაქიზსა და წმანდა გულში.

დიდმა, სულმანათმა პოეტმა ანდერძად დაგვიტოვა:


ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს.

ჩვენი ხალხი გარეშე მტერთან მეხი იყო, ერთი ასს შეებოდა და სძლედა; შინაურ მტერს კი ფეხქვეშ ეშლებოდა და კიდევაც ეშლება. ოღონდ ქართველ კაცს უთხარი: „ჰო, შენმა მზემ! შენა ხარ, რაცა ხარ ჩემთვის!“ და სხვა ამისთანა შექარ მოყრილი სიტყვები და თავს შემოგვევლება. გარეულ მტერს სად ეცალა ტკბილი სიტყვებისათვის, იგი გამკრავი მგელი იყო, ცხადად მოდიოდა საბრძოლველად. ქართველიც ეკვეთებოდა, ხშირად სძლედა, ხშირადაც იძლეოდა, მაგრამ ცხადლივ თუ მაღლივ მაინც ხმალს ლესავდა, ქარქაშში არ აყანგებდა და თავის დროზე კვლავ მდგრად ეტაკებოდა მტერსა და იხსნიდა უღლიდან თავსა.

შექარლამა ენის პატრონი მტერი კი, მტერი შინაური ცხადად, იერიშით არ მოდის, იგი თვით ჩვენს უბეში ზის გუგულივით, გვასაზღოვბინებს თავსა, ზნეობითი სიჭიანე და სიმახინჯე შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში, ვითომდა კულტურა შემოაქვს რაღა. ხანდისხან ვგრძნობთ ამ „კულტურის“ სიმწვავეს, ერთს შევითამაშებთ, მაგრამ ისევ მალე ვცხრებით, რადგან ისე დაქიანდა ჩვენი გვაში, რომ თავს ზევით ძალა აღარა გვაქვს ხსნისა. ეს მტერი „მემოყვრება, მოცინარობს“, მოყვრობისა და მოცინარობის ბადეში გავვაბა, ტყანი შეგვარყია და თავისებურად გვაფიქრებს და გვალაპარაკებს.

ფხიზლად, ძმაო ქართველო, ფხიზლად, თუ კი გსურს შენი ელფერი შეინარჩუნო.

თუმცა ქართველს გარეშე მტერი მოესპო მეცხრამეტე საუკუნიდან, მაგრამ მაინც ლეკთა თარეში ქართლ-კახეთში და თითქმის იმერეთშიაც გაახსენებდა ხოლმე გარეშე მტერსა. მინამ დაღესტნის არწივს შამილს დღე დაეთვლებოდა, ისევ ბრწინავდა და ჰქუხდა მისი ხმა დაღესტნის უღრან მთებში, ლეკნი დას-დასად თარეშობდნენ. ანაზღეულად გაჩნდებოდნენ ქართლის სოფლებში, ვისაც კი ხელში ჩაიგდებდნენ, ტყვედ მიჰყავდათ, რასაც კი მოახლებდნენ, გაიტაცებდნენ. სოფელი მუდამ ფხიზლად იყო, თითქმის ყველა სოფელს, განსაკუთრებით დიდ სოფლებს პატარა შეიარაღებული რაზმები ჰყავდა. და-



ეცემოდა თუ არა ლეკი, მაშინვე დაიძახებდენ: «მდევარი!» რაზმს მთელი სოფელი მისცემდა ხმასა და ქულზე კაცი გამოდიოდა. დაედევნებოდნენ, მაგრამ ლეკთა დასი რაკი ცხენოსანი იყო, მალე უშველიდა ხოლმე თავსა. ხანდისხან კი ისე შეუკრავდენ გზასა, რომ ერთს ბლავანს არ გაუშვებდენ.

ჩვენს ხალხში დარჩენილია ლექსები ლეკებთან ბრძოლისა, ტყვეების ჩივილი და ხევწნა დახსნისათვის. შე რამდენიმე ლექსი მაქვს მოყვანილი ჩემს «წარსულში». ნიმუშად მომყავს ორი ხალხური ლექსი.

„ორშაბათ დილა გათენდა,
მთამ დაიხვია ბურია...
ლეკები შემოგვესივნენ,
ლეკები დაღესტნურია...
ხაბაზის ცოლი მიჰყვანდათ
საწყალი, უბედურია;
წინ შემოიკვა ბელადმა
ახალი დანიშნულია...
— „ვერ გაძეხ შენის ცქერითა,
თვალ-წარბი ჩახატულია!..“

ტყვედ წაყვანილებს დაიხსნიდნენ ხოლმე, დახსნა დიდი ფული უჯდებოდათ. გამოვიდოდა მთხრობელი, რომ ტყვე ამა და ამ ალაგას ჰყავთ, თუ ამდენსა და ამდენს თუმანს მიიტანთ, დაგიბრუნებნო. ვისაც შეძლება ჰქონდა, იხსნიდენ, ზოგი რჩებოდა. ქართველებსაც უვარდებოდათ ტყვედ ლეკები, რამდენიმე ნალეკარი ოჯახია ქართლში.

ტყვედ უფრო ქალები მიჰყავდათ და იმათში უფრო ბევრს სასყიდელს იღებდენ. ერთს ხალხურს ლექსშია გამოთქმული ტყვის მუდარა-ხევწნა დახსნისათვის:

„ძევს რომ ქალი დავიკარგე,
განჯას თათარს ვყევარო;
მაცვია იასამური,
მაშიეებზე ვდგევარო.
ცხრა ძმანო, ცხრანო ბიძანო!
სულ ჩემო მოსადევარნო!
მოკრიფეთ თითო თუმანი,
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო!..“

ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სწორედ ველურ ხალხს ჰგვანდნენ. ეს არ ვიცი, ადამიანის ხორცს სჭამდნენ თუ არა, მაგრამ სხვა ყოველივე სულ ველური ჰქონდათ. ოსები თითქმის ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ, როცა გამრავლდნენ, სხვა და სხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდენ.

ჩემს ხსოვნაში ოსები ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლნი იყვნენ. თხა იყო იმათი ღმერთი.

თხის თავი დიდის რქებით იყო დასვენებული სადმე დიდსა უხარ-მახარ და დაბურულს ცაქებზე დახრის ხეზე. აქ იყრებოდა ხალხი, ლოცულობდა და თაყვანსა სცემდა თავის ღმერთსა. დიდი ჯაფა დასჭირდათ ქართველს მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდენ, რომ მოესპოთ კერპთაყვანისმცემა და გაეგრცელებინათ ქრისტიანობა. ქართველმა მისიონერებმა მშვენივრად იცოდნენ ოსური ენა და ძალიან მალეც გაავრცელეს ქრისტიანობა.

ოსები მთა-ტყეებში ცხოვრობდენ; სახნავ-სათესი ადგილი არა ჰქონდათ, მაგრამ სადაც კი ვაკე ადგილს გააახოვებდნენ, საუცხოვო მოსავალს იძლეოდა საუკუნოებით დასვენებული ადგილი. თითქმის ყველა ოსი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა. სახელი იმასა ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაციც ის იყო, ვინც ქურდობა-ავაზაკობაში იყო დახელოვნებული. ის სოფლები, რომლებითაც მოდებულ იყო სამაჩაბლო და საერისთავო მამულები, აკლებული იყო ოსებისაგან. ძილი და მოსვენება არა ჰქონდა სოფელს. სოფელიც მაგრა იდგა, ბევრს ჰხოცავდნენ, იჭერდნენ, მაგრამ ახალ-ახალი ბრბო ესეოდა. ამათ ტყვედ არავინ მიჰყავდათ, ვისაც მოასწრობდენ, დედიშობილს გახდიდნენ, წაასხავდენ პირუტყვს საქონელსა, თუ გაუძალუანდებოდა ვინმე, სიცოცხლეს ასალმებდენ. თამამი და ვაჟკაცი იყვნენ უიარაღო ხალხთან. თუ კა შეატყობდნენ, რომ სოფლიდან მდევარი წამოვიდა იარაღიანი, ისინი მაშინვე ტყეს მიატანდნენ, შეძვრებოდნენ ჩირგვებში და იქიდან ესროდნენ. მაგალითი არა ყოფილა, რომ ოსი ავაზაკი პირდაპირ დახვედრიყოს იარაღიანს მოპიდაპირეს. მაგრამ ამასაც წამალი უბოვეს ქართველებმა. სოფელში მონადირე ბიჭები იყვნენ, სანადიროდ დაგეშილი ძაღლები ჰყავდათ; როცა ყაჩაღი-ოსები ტყეს შეაფარებდენ თავსა და პირდაპირობას ვერ უწევდენ იარაღიანს სოფლელებსა, სოფლის მდეურები მონადირე ძაღლებს წაიმძღვარებდენ, ძაღლები სუნით მიაგნებდენ ყაჩაღების ბინასა და მდევარნიც ესროდნენ თოფს ჩირგვებში დაბინავებულს ყაჩაღებსა. ხშირად იარაღს დააყრევინებდნენ და თხებივით იჭერდნენ.

ყაჩაღი ოსები დღისით ტყეში თუ დაუხვედებოდნენ მიმავლებს, თორემ სოფელში ჩასვლას ვერა ბედავდენ. რაკი მოლამდებოდა, ცოტა რამ ხანი გავილოდა და სოფელს პირველი ძილი დააწვებოდა, მაშინ გაჩნდებოდნენ სოფლად და რასაც მოასწობდნენ, მიჰქონდათ. ბევრჯელ ძარიდან სიმინდს ჩამოყრიდნენ, ხურჯინებს დაავსებდნენ და გაიპარებოდნენ. დაირღვა მყუდროება სოფლისა, ლექს მოარჩნენ და ოსებმა უარესი დღე დააყენეს.

აი ამ გაჭირვებულს დროს სოფელს პატრონი გაუჩნდა. იმ ჟამად დირბში ცხოვრობდა ახალგაზდა კაცი, ტარას მგალობლიშვილი, ამან შეადგინა პატარა რაზმი თავისუფალ მონადირეებისა, მდეგრე-

ბისა. თვით გამოჩენილი მონადირე და მსროლელი იყო. მასთან შეზდილი იყო შიო ტუფნაძე, ტარასზე არა ნაკლები მონადირე და მსროლელი. აი ეს პატარა ჯგუფი ტარას მგალობლიშვილის მეთაურობით გაუმკლავდა ოსთა თარეშსა. მაგრამ ეს ისეთი საფურადღებო ხანაა და ისეთი ვაჟკაცობა ჩაიდინა ტარასმა თავისი შიოთი, რომ ამას ცალკე წერილი უნდა ვუძღვნა.

ს. მგალობლიშვილი.



სიკვდილით დასჯილი.

(მოთხრობა)

I

პეტრე მღვდელი კარგი ხნის კაცი იყო, შეხედულობით იქნებოდა ასე 50 წლისა. მრევლში მას კარგი სახელი ჰქონდა მოპოვებული, თუმცა მკიცხავიც ბევრი ჰყვანდა. უკანასკნელთა გუნდს შეადგენენ განსაკუთრებით სოფელ კვერეთის თავადნი, რომელთაც ცოტაოდენი ფული ჰქონდათ მისგან ნასესხები და დაბრუნებას კი არ ჰფიქრობდნენ, რადგან ამისი თავი არ ჰქონდათ. წინად კი თავადებიც კარგი თვლით შესცქეროდნენ თავიანთ მოძღვარს, რომელიც რაღაც დანაშაულობის გამო არქიელმა გააწესა სოფელ კვერეთში.

პეტრე მღვდელი უკვე კარგი შეძლების კაცი იყო, როცა ამ სოფელში ამოაყოფინეს თავი მისდა მოულოდნელად და უნებურად, და ისეთი უგულო კაცი არ იყო, რომ თვისის მოყვასისათვის გაჭირვების დროს ხელი არ გაემართნა. მით უმეტეს, რომ ასეთი გულკეთილობისათვის უმადური მას დღემდე არავინ ჰყოლია და გასესხებული ფული ერთი ორად უბრუნდებოდა მისს ჯიბეს.

წვრილფეხა ვაჭართა და გლეხთა პატიოსნება მამა პეტრეს ყოველთვის სწამდა, რადგან ერთხელაც არვის იმათგანს პირი არ გაუტეხია და ნავალევი ფული პირნათლად შესაფერის სარგებლით დაუბრუნებია მოკეთე მოძღვრისთვის და ისიც იმ დროს, როდესაც მამა პეტრეს თვეში აბაზის მეტი სარგებელი არავისთვის გამოუერთმევია.

მხოლოდ ჩემი სოსოს ფეხზე დასაყენებლად, თორემ ჩემისთანა ქვრივ-ოხნერს ეშმაკის მოგონილი ჭუჭყი რა ოხრად მინდაო? — იტყოდა ხოლმე ამო-ოხნერთ მამა პეტრე.

სოსო კი სასულიერო სემინარიის შევირდი იყო, წყნარი, ღვთის მოსავი, თვინიერი და მამის გამგონე.

თუმცა მამა პეტრეს თავმოყვარეობა შელახული იყო არქიელის რისხვის გამო, მაგრამ კვერეთში მან მოიპოვა სასურველი სულის სიმშვიდე, მრევლის ყურადღება და პატივისცემა. შემოსავალიც და გამორჩენაც ურიგო არ ჰქონდა მამა პეტრეს და ცხოვრობდა თავისთვის წყნარად და აუშფოთლად.

ასე მიმდინარეობდა საქმე ახალი მოძრაობის დაწყებამდე, რომელიც მოულოდნელ რისხვასავით თავს დაატყდა ჩვენს კვერეთსაც.

პეტრე მღვდელიც რა მოძღვარი იყო, რომ თავის მრევლი არა სცოდნოდა? აიღო თუ არა მან ალღო, არა საიმედო ხანა დგებოდა, იმწამსვე ისარგებლა შემთხვევით და მიწვია სადილად უპირველეს ყოვლისა თავად სულაძიანთ ბაღის მოიჯარადრე იმერელი გოგისა თვალაძე.

გოგისა თვალაძე 27—30 წლის ვაჟკაცი იყო, ტან მორჩილი და ფრიად ცქვიტი. მისმა დაუდეგარმა, მეტად მოძრავმა არსებამ არასოდეს მოსვენება არ იცოდა. ყოველს სოფლის საქმეში პირველად ის ამოჰყოფდა თავს და გოგისას სიტყვა ყველას სჯეროდა, რადგან გამოქაზარაკებული კაცის სახელი ჰქონდა მას ხალხში.

გოგისას სოფლის სკოლა ჰქონდა გავლილი, ქართულ-რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი ბევრად მეტი იცოდა. ვიდრე კვერეთის მცხოვრებლებმა. რაც შეეხება შრომასა და საქმის ცოდნას, რა მოგახსენოთ? მხოლოდ თავად სულაძიანთ დაუდეგრობისა და უთავობის გამო მიჰქონდა გოგისას დიდი ზვრის შემოსავლის მესამედი.

გოგისა კვერეთში ინტელიგენტად ირიცხებოდა. უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო, რომ იტყვიან, გოგისას ინტელიგენტობაც ამგვარი იყო. კვერეთის თავადებიც კი შეჰყურებდნენ მას, სჯეროდათ მისი, პატრეს სცემდნენ და თავიანთ სუფრაზედაც სვამდნენ. მამა პეტრემაც შეძლებისა და გვარად პატივი სცა გოგისას. გემრიელი სადილით გაუმასპინძლდა, ღვინოც საუკეთესო მიაართვა და სადილის შემდეგ გულახდილი მუსაიფი გაუბა, რომელშიაც ის არწმუნებდა გოგისას, რომ პატარობიდანვე ხალხის სიყვარულით აღსავსეა ჩემი გრძობა-გონებაო და ყოველივე ჩემი მოქმედება ეთანხმება ხალხის კეთილდღეობასო. მამა პეტრე სხვებთან ერთად დარწმუნებული იყო, რომ გოგისა თვალაძე სოციალისტი იყო და ამისდამიხედვით თავის საუბარში ის ქებას ასხამდა სოციალისტთა მოძღვრებას. ამიტომაც პეტრე მღვდელი თავისი პიროვნებისა და ქონების უზრუნველყოფას გოგისას აბარებდა, როგორც ახალი მოძრაობის ერთ ხელმძღვანელთაგანს. გოგისა თვალაძეც შეფერებით ისმენდა მღვდლის ბაასს, დასტურს აძლევდა მას და ბოლოს თვისი გავლენიანი შემწეობაც აღუთქვა.

II

მთელ რუსეთს არა ჩვეულებრივი მოძრაობის მძლავრი ტალღა მოხვდა. ყოველი ადამიანი შეა-
ცურა ამ ტალღამ ფაფარ ახდილსა და აბობოქრე-
ბული ზღვის სივრცეში. კარ-მიდამო, სახლ-კარი
ცოლ-შვილი, ეკლესია, საკუთრება და ყოველივე
პირადი უკუ ავდო ხალხმა და თვისდა შეუგნებლად
სტიქიონურად მისცა თავი განუზომელ მოძრაობას.
ყოველი ხორც შესხმული გრძობდა ძველი ცხოვ-
რების აუტანლობას, სიმაკრეს, თვითნებობას,
ძალმომრეობას, პიროვნების დამცირება-გათანხირე-
ბას. თვით მაღალი ღვთისადმი მიმართული ლოცვა-
ვედრებისაც აღარ სწამდა მას. აღარც სწავლა-განათ-
ლებისა, აღარც მღვთის მოძღვრებისა არა თუ არა
გაეგებოდა მას, არამედ უპირველეს ყოვლისა თვით
ეკლესია და სკოლა სცნო დამნაშავედ თვისის აუ-
ტანელის ცხოვრებისა და პირველად ამათ მოუქნია
თვისი მძიმე მუშტი. რუსეთის მკვიდრი მიელტვო-
და რაღაც უცნობისაკენ, სრულებით განუზომელ-
გაუგებრად, ბრმად, თითქოს ის სასურველი, რაც
უნდა მოვლინებოდა ხალხს, უნდა მოსულიყო
თავისთავად, მანანასავით უნდა ზეცით ჩამოვარდ-
ნილიყო.

ამ სტიქიონმა შეიპყრა არა თუ უმეცარი ხალ-
ხი, არამედ თვით მოწინავე რაზმებიც. ყოველი ადა-
მიანი კერძოდ და ყველა საერთოდ ასცდა გაზომ-
აწონვის სწორ გზას და რაღაც ბნელით მოკულ
სივრცეს დააქციტა თვისი შორმხედველობას მოკლე-
ბული თვალი, თითქოს სიბნელიდამ მოელოდა იგი
იმ სინათლეს, რომლის წყურვილი ხახას უშრობდა
მას ღღემდე.

ქვეყანა თვალახვეული ბობოქრობდა. ვინ ვის
აწყდებოდა—გაგება აღარ იყო. მმართველ მანქანა-
საც მთავარი ძარღვი გაუწყდა, ერთხანს ისიც უთავ-
ბოლოდ მოძრაობდა და შემდეგ ერთბაშად მოეშვა
და შეჩერდა. გაუგებლობის კორიანტელი თარე-
შობდა მთელ უშველებელს სახელმწიფოში.

გაუგებრობა ყოველთვის შიშსა ჰქმნის, ამი-
ტომ დიდი და პატარა შიშმა აიტაცა.

მხოლოდ რეგენთათვის შიში უცნობი ხილია
და ამიტომაც რეგენთა გუნდმა დაიჩემა ხალხის
წინამძღვრობა. შეგნებულთა მცირედი ნაწილი კი
შეუდგა მდგომარეობის ვითარების გამორკვევის
საქმეს და იმ აზრით გამსჭვალული, რომ თავისუფ-
ლება ბრძოლით მოიპოვება და არა სიტყვითა და
უსაქმობით, მაღლა ასწია ალაში, რომელზედაც
თვისის სისხლით აღბეჭდა ბრძოლა ხალხის კეთილ-
ღღეობის დამყარებისათვის. ხოლო როცა ამ მცი-
რედმა გუნდმა იარაღით ხელში საბრძოლველად
თავი გამოჰყო, ძველი წესწყობილების მანქანაც
ამოძრავდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იერი-

ში მიიტანა მოპირდაპირეზე. ბრძოლა ხან მოკლე
გამოდგა, რადგან მოპირდაპირე სუსტი ფიზიკურად
და მოუშადებელი შესაფერად, იქვე, პირველ ხა-
ნებშივე დამარცხდა. ძალზე გაქანებული მანქანა კი
აღარ შეჩერდა, არამედ განაგრძო თვისი შეუბ-
რალელები მოძრაობა და მუსრი გაავლო ბრალიანსა
და უბრალოს, მტერთან ერთად მოყვარესა და მონა-
მორჩილთაც სდვა ყურის ძირში და ყბები ჩაუ-
ღეწა.

ას მორჩილში ერთი თვითნებაც რომ გაესრი-
სა მანქანას, არაფრად იჩნევდენ.

— ბრალიანსა და უბრალოს იქ განიკითხვენო,
— ამბობდნენ მანქანის მოხელენი და სალოკ თითს
ზეცისაკენ აშვერდენ.

აი, ამ მდგომარეობამ შექმნა ანარქია, ისეთი
არეულობა, რომელშიაც ძალლი პატრონსაც ველა-
რა სცნობდა. აი, ამის გამო შეინძრა დაგუბებულ-
აშმორებული ტბა და ამოატივტივა ზედაპირზე ნა-
ძირალთა გუნდი.

ქურდი ყოველთვის ბნელ ღამეს ელოდება,
ნაძირალსაც არეულობა და გაუგებრობა ჰქმნის.

ნაძირალნი აშკარად ჰხედავდნენ, რომ კარგი
დრო ჰქონდათ ამღვრეულს წყალში თევზი დაეჭი-
რათ და ხელი მიჰყვეს თვის ბნელ საქმეს.

III

მღვდლის გემრიელმა სადილმა და განსაკუთ-
რებით განმაცხოველებელმა კახურმა ღვინომ ფრთე-
ბი შეასხა გოგისას წარმოდგენათა სრბოლას, მისს
ფანტაზიას. ის უკვე დიდ კაცად სთვლიდა თავის
თავს, როცა მამა პეტრემ მოწინააღმდეგით მიაცილა ალა-
ყაფის კარამდე.

ერთი მეორეზე უფრო საარაკო აზრები ტრია-
ლებდა მისს თავში, სანამ თავის სახლს მიაღწევდა.
სახლი გოგისას სულაძიანთ ზვრის ბოლოში ჰქონ-
და. ის იყო მეგრული ფაცხა ჩალით დახურული,
რომელშიაც მხოლოდ ერთი გახრევილი ტახტი
იდგა და მიწის იატაკზე პატარა თუნუქის გაქვარტ-
ლულ შუშიანი ლამპარი.

შემოდგომა საუკეთესო ხანაა მთელის საქარ-
ველოს სივრცე-სიგანეზე. სიცხე სიცივესთან შეთანხ-
მებული სასიამოვნო გრძობას ჰვერის ადამიანსა.
დაწმენდილ დაკრიალებული სოფლის მსუბუქი ჰაე-
რი თავისუფლად და სასიამოვნოდ მოძრაობს მისს
ფილტვებში. ეს ტკბილი ჰაერი დღისითაც ისე ლა-
მაზად ჰკრთის ცხოველყოფელ მზის შეზავებულს
სხივებზე, როგორადაც ღამის მორცხვ მნათობის
ვერცხლში მოვარაყებულს სინათლეზე.

გოგისა თვის ფაცხაში ტახტზე გაშხლართული-
ყო და თვალდახუჭული ოცნებობდა, როცა შემოდ-
გომის ღამის ნარნარმა მნათობმა ქათქათი დაიწყო
კვერეთის მიდამოზე. სულაძიანთ წისქვილის არხი-

და სასიამოვნო შიშინი მოისმოდა, რომელიც შორიდან მოსმენილს ნანას ხმებად ეწვეთებოდა მის ყურთა სმენას და ტკბილს ძილსა გვრიადა მას.

გოგისამ წაართვა ძილს თავი და მკვირცხლად წამოხტა ზეზე.

სანამ ტალღასავით მოვარდნილს აზრებიდან გამოირკვევოდა, ცოტა ხანს ტახტზე წამოჯდა, შემდეგ ფაცხის შესავალ კარებთან მდგომი დოქი აიღო, შუბლი ცივის წყლით გაიგრილა, ქამარ-იარალი წელზე გაისწორა, წამოდგა და გასწია სიმონ კვირტაძესთან. კვირტაძე იღბალზე შინ დახვდა, იღბალზე მეთქი იმიტომ მოგახსენებო, რომ სიმონი, როგორც მარტოხელი კაცი, შინ იშვიათად იყო ხოლმე და, როგორც „ადუკანტი“, უფრო ქალაქებში იყო გაბმული, სადაც სხვა და სხვა წვრილმან საქმეებს დაეძებდა.

სიმონს სასიამოვნოდ დაურჩა გოგისას სტუმრობა. მას ეგონა გოგისა რამე საქმეს მომანდობსო, მაგრამ როცა თვალაძემ უამბო მას თვისი განზრახვა, პირველში ცოტა არ იყო შეშინდა და ყოყმანი დაიწყო. როგორც გოგისა, სიმონიც ხალხის უმეტრება-გაუგებრობაში ჰპოულობდა ლუკმა პურს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სიმონ კვირტაძეს არსებობისათვის ბრძოლაში არასოდეს ძალმომრეობა იარაღად არ უხმარია, პირიქით, უფრო ხშირად თითონ რჩებოდა ხოლმე მოტყუებული და საქმის მოგების შემდეგ მშრალზე გაცურებულად. ამიტომაც გოგისას წინადადება, რომ კვირტაძესაც მიეღო მონაწილეობა გოგისას მიერ მოსაზრებულ კომიტეტში, რომელსაც უნდა ვითომდა ეწინააღმდეგებდა და წყევლულ მოძრაობისთვის და სხვა და სხვა, მას ვერაფრად ექაშნიკა. რაც უფრო მეტს ყოყმანობდა სიმონი, მით უმეტეს თავგამოდებით არწმუნებდა მას გოგისა, რომ მის წინადადებაში არაფერი საშიში არ იყო, ერთი ის, რომ კომიტეტმა ფული უნდა შეკრიბოს ისეთ მცხოვრებლებში, რომელთაც ცოტაოდენი ფული გააჩნიათ, მეორეც უნდა ბევრი მაგნე ალვირ - ახსნილი ადამიანი თავის კალაპატში ჩააყენოს, მესამეც მშვიერ-მწყურვალსა და ობოლ-ოხერს ამისთანა ძნელ დროში შემწეობა აღმოუჩინოს და მეოთხე და უკანასკნელიც ისა, რომ ხალხისათვისა და მოძრაობისათვის მაგნე პირნი გააძევეს ამ ქვეყნიდან. მით უმეტეს სათაკილო არ იყო გოგისას აზრით სიმონისათვის ამ კომიტეტში მონაწილეობის მიღება, რომ ის ამ უკანასკნელს არ ავალებდა აქტიურობას, რადგან ნამდვილ საქმის წარმოებას თითონ გოგისა იღებდა თავის თავზე. გარდა ამისა გოგისამ ჩამოსთვალა ჩოხოსანი პავლე სონაძე, ადგილობრივი აზნაური, შარშან მესამე კლასიდან გამოძევებული გიმნაზიელი, კოტე დურგალი და ვანო ნალბანდი, რომელნიც გოგისასთან ერთად ისე მოაწ-

ყობდენ საქმეს, რომ სიმონს არც კი შეაწუხებდნენ არაფერში. ის საქირო იყო მათთვის მხოლოდ ერთადერთად გორც საიმედო კაცი ფულის შეგროვებაში.

დიდი ჩაგონება და ჩიჩინი დასჭირდა გოგისას, სანამ სიმონს დაიყოლიებდა, ხოლო, როცა დაითანახმა, იმ წამსვე გაექანა სოფლისკენ, ზემოხსენებულ პირთ ჩამოუარა და სათათბიროდ სიმონთან მიიყვანა.

ზღაპარი ჩქარა ითქმის, მხოლოდ საქმე გვიან კეთდება. როცა კომიტეტი სადარბაზოდ შეიკრიბა სიმონისას, უკვე ნაშუალამევი იყო. ჩვენი სოფელი მაღლობ ადგილზე იყო გაშენებული და ღამ-ღამობით უკვე ზამთრის სუნი ადგა, სიცივე თავისას შვრებოდა. გოგისამ არც ერთს ახალ მოწვეულ მოკავშირეთაგანს სიმონისას მოსვლამდე არა გაუმელავნა რა, მხოლოდ რაღაც დიდი საქმის გადასაწყვეტად მოიწვია ისინი სიმონთან. ახლა კი მან მოისხა ირგვლივ ეს დარჩეული ძმა-ბიჭები და აუჩქარებლად, დალაგებით გადაუშალა მათ თვალწინ თვისი გეგმა. მან უკვე გადაწყვეტით დაურთო გამოცდილი რეჟისორივით ყველას თვისი როლი, ესენიც უარზე არ იყვნენ. თავდაპირველად გოგისამ უამბო, თუ რამე მიიყვანა ის ამ აზრამდე და როცა მღვდლის ნალაპარაკევი, მისი შეშინებული სახე დაუხატა მათ, მაშინ ყველასათვის აშკარა შეიქმნა ის, რომ გოგისას მოსაზრება საფუძვლიანი იყო.


მარტო სიმონ კვირტაძე ვერ ურიგდებოდა ყოველივე გოგისას მოსაზრებულს და ემუდარებოდა უიმისოდ მოეწყობათ ეს საქმე და გულწრფელ ფიცსა დებდა იმის თავდებად, რომ ის მათ არ გაამფლავებდა, არ გასცემდა მათ საიდუმლოს. მაგრამ გოგისა თავისას ადგა, უარის თქმას არ აბედვინებდა და მასთან ჰპირდებოდა, რომ სიმონი უჩინარი წევრი იქნებოდა ამ კომიტეტში.

ალიონის სულმაც მოაწია და მოთათბირენი დაიშალნენ.

ივ. ელიაშვილი.

(შემდეგი იქნება)





ბელი მკონისა

(გაგრძელება)

დრამა ხუთ მოქმედებად

ს უ რ ა თ ი II.

ბალი, ლევანის სახლის წინ. საღამოა.

ლევან. მშ მოჰკლა, მოჰკლა? ცაო, შეძრ-
და დედამიწავ, შენც აქვითინდი! | წუნდი
იმ დღეს გამდელმა შე ასე მითხრა;
თამარის გული, თუ არ ნიკოსთან,
სხვა ვერავისთან განხარებსო
და ამის შემდეგ მოჰკლეს საბრადო?
ეს რომ გაიცოს, ხომ ჭკუაზედ შესცდა?
ახ, რად არ მიუვც თავისუფლება?
ერთი შვილი შეავს, იმ ერთსაც ძლით
ადრე წავგლიჯე ბედნიერება!
აწ რადას ვაქნევ ამ დიდს სიმდიდრეს
თუ შვილს ცხავრება ჩემწარდება?
მრავალ გზით იგი წვეულებით იყოს,
ვინც ამას იქით ძალა იხმაროს
და სხვის სურვილი მოჰკლას, შეზღუდოს!
ჩემს ქალს რად მივცემ ბოროტ მომქმედს?
შე კაცის მკვლელი რად მინდა სიძედ?
ოჰ თავო ჩემო! რა დიდად შესცდი!...
(შემოდის გამდელი).

ახლას რას იტყვი? რა ამბავია?
გამდელი. ახალ ამბისა რა მოგახსენო,
თამარ კი ისევ იმავე დღეშია!
არც ავად არის და არც კარგადა.
ყოველ ცისმარე დღეს გათენებულს
მასთან ვზივარ განუშორებლივ;
არა ვმორდები, ვეალებრები,
მაგრამ საბრადოდ სტირს განუწვევტლივ.
ხმას აღარ იღებს, არ ეღიმება,
ხან თუთრს კედლებსა მიაშტერდება,
ვერ გამოცია. რა ემართება!
მაგრამ ბატონო, არ გახსოვს იმ დღეს,
რაც მოგახსენე?

ლევანი. მახსოვს!
გამდელი. მიზეზი ის თუ იქმნება!
ლევან. ვაჰმე უბედურს!
გამდელი. იმას მაშინაც არ ესვენება,
როცა ყოველი სდუმს, განაბულა!
მწარედა თხრავს, ხანა ფითრდება,
ხშირად ძილშიაც აცრემლებულა!
ლევან. როგორ თუ ძილში? ეგ რადას
წინაშას?
გამდელი. როცა კი სძინავს, ჩემო ბატონო,
შეოთავს, ცრემლს აფრქვევს, არ ესვენება;
და მესმის ხელმე ხმითა მადლითა

ვიდაც უჩინარს ებასება!
ერთხელ მან ძილში წამოიძახა:
ანიკო, მიშველე... ჩემო ნიკო,
გამოვადვიდე, ვკითხე: რა მოგდის?
მაგრამ არ უგლო ყური დაზარავს...

ლევანი. საბრადოდ ძილშიც ის ავინდება!
ვავლას! ნიკო კი აღარ არსებობს!
გამდელი. რას ბრძანებ მაგას?—ჭკვაზედ
შესცდება!
ლევან. თუ ჯერ არ იცის, ხურც ხურას
იტყვი!

დაახ, ის მოჰკლეს!.. შერე ვინ მოჰკლა?
სიძემ! ხა, ხა, ხა! რა დიდად შევცდი!
შე კაცის მკვლელსა არ მივცემ ქალსა,
ჩვენი კავშირი განუწვევტლია;
ნება არ მისცეთ კვლავ აქ მოვიდეს.
მან მოჰკლა ნიკო, ისიც მკვდარია!...
(გაღიან. შემოდის არჩილი).

არჩილი. (აღელვებული და გაფითრე-
ბული) უკვე დაიმსხვრა ჩემი ბოროტი!
ფრთხილი შემესხა მძლავრ არწივისა;
ჩემის გრძობების სულთამხუთველი
აღარ არსებობს, მივეც მიწას!
მაგრამ ვინ მღვინის? ამას ვის ვხედავ?
თითქოს მოველი აწ მწარე სიკვდილს;
შიშმა შემიძურა... ვინ მოჰქრის ჩემსკენ?
ნიკოსა ვხედავ თუ წინდა აჩრდილს?

(სიბნელეში ნიკოს აჩრდილი გამოჩნდება. არჩილი
პირისახეზე ხელებს იფარებს)
რად არ მასვენებ?
(აჩრდილი მოახლოვდება. იგი დაღვრემილი უმზერს,
თითქოს უსავედურებდეს: „რად მომკალო“. გუ-
ლიდან სისხლი ჩამოსდის, არჩილი გაბოროტებული
იკრუნჩხება და ყვირის):
ახან!...

(აჩრდილი ჰქრება. აივანზე სანთლით ხელში ლევანი
გამოდის და დაბლა იყურება).
ლევან. ვინა ხარ დაბლა? ვინა ხმარობ?
არჩილი. აქ დაბლა მე ვარ, თქვენი არჩილი!
ლევან. წვეულებით იყოს შენი სახელი!
ჩემთვის არჩილი აღარ არსებობს!
შენ მასთან მოჰკვდი, აღიკავე მიწის ზირისგან...
გაკებული მაქვს ეველათფერი, თავს ვერ იმართ-
როგორ გაჭბედე შენ აქ შემოსულა, | ლებ.
სისხლი შენს ხელებს არ შეჰშრობია...
შე ავანათან საქმე არა მაქვს...
წადი, გამშორდი და ეველასავან
შეჩვენებულმა იარე ქვეყნად!
წვეულებით იყოს იგი არსება,
რომელმაც სდგურს შენ შეგიფაროს!
ვით იუდისამ, ეგრედ მავ სულმა
მარტოდ ლტოლვილმა არ განხაროს!
იარე მინდვრად თმა აბურძგულმა,



ქართული
საბჭოთაო

თვალეზე ძილი არ მოგეკაროს!
შენგან ჩადენილს ბოროტებას
სხვას აბრალებენ და შენ კი ამ დროს
ვითა ღამურა ურცხვად დასძვრები?
წადი, გაგვშორდი! ნუ სწამლავ ჭყურს,
შენთვის დაიხშო ჩემი კარები! (შედის)

არჩილი. დაე აღსრულდეს ჩემი სურვილი
და თუნდა რისხვა თავზე დამატუდეს,
მე ჩემსას ვიზავ! არ შეუდრკები...
სადაც წვრილია, დაე იქ გაწუდეს!...

(გადის. დიდი სიჩუმეა. ისმის სამჯერ სტვენა. სტვე-
ნიოვე უბასუხებენ. მთვარე ამოდის. ბაღში გამდე-
ლი და თამარი გამოდიან).

გამდელი. შეკცია, შვილო! აჭა სახური!
თამარ. მსურს მარტო ყოფნა! (გამდელი
სახურს წამოასხამს).
მაგრამ მოიცა!

აჭა წერილი და ხვალვე დილით
ვინძლო, გამდელი, ნიკოს გარდასცე.

გამდელი. შინ რომ არ იყოს?
თამარ. სად წავიდოდა?

გამდელი. არ ვიცი, მაგრამ შინც მომეცი!..

თამარ. ზინადად ეტყუვი, რომ მოუთმენლად
ველი და მხახკის! ჩვენგან ისწრაფოს!
გესმის? ეს უთხარ: ნუ დაყოფნებს!
მეტი მოთმენა მე აღარ ძალმიძს!...
ყოფნა უმისოდ სიკვდილი არის!

(გამდელი გადის. თამარ კუნძს დაეყრდნობა და
ოცნებობს).

თამარ. გული კვლავ კენკის... სული
დამძიმდა...

თავის და ნებით ცრემლი იფრქვევა;
წინასწარ გრძობით ცუდს ვგრძობ რაღაცას,
შავი ბურუსი ირგვლივ შესხვევა.
ნიაჟო, წადი, იქით გაჭქროდე,
სად მეგობარი არის გულისა;
უთხარ, თუ რა რიგ მისთვის იტანჯვის
უმანკო მსხვერპლი სიუვარულისა.
ჭოი, ყვავილნო, ნორჩო ყვავილნო,
თან გაატანეთ თქვენი სურნელი;
ზედ წაწერეთ ოცნების ფრთითა:
«ჩემსგან ისწრაფე, შენ ერთს მოგეღი!»

(თავს ილლიებში ჩაჰმაღავს. შემოდის არჩილი.
უკან რადმენიმე მეგობარი მოსდევს, არჩილი თამ-
როს ნაბაღს გადაათარებს მოსატაცებლად, მეგობრე-
ბი ეშველებიან. ისმის თამროს კვილი. გამოარბის
ლევან და იძახის „შვილო თამარ!“ გამდელი გამ-
წარებული დაეძებს).

ლევან. (გამწარებული წვერ უღვაშს
იგლეჯს).

ვაი მე ბედარულს! შვილი მომტაცეს!..

ფ ა რ დ ა .

მოამადება მახუთა:

მდინარის კიდე.

(სცენის სიღრმეში მაღალი მთები აღმართუ-
ლია. წინ მუხის ხეები სდგას. მუხებ შუა, მაღლობ
ადგილზე მოსჩანს ხავს მოდებული კოშკის ნანგრე-
ვები, რომლის გვერდითაც აზვირთებული მდინარე
მილულუნებს. მდინარის პირად ნისლია ჩაწოლილი.
ვიწრო ბილიკით ჩამოდის არჩილი).

არჩილი. ოჰ, ვერ ვეღირსე თამროს
სიუვარულს,
იგი ხელსა მკრავს, ჩაგრულ გულს სტანჯავს;
აზვირთებულსა ჩემს სულს ვნებიოთა
შეუბრალებლად სევდას უსაჯავს:
დილით ამოდის მზე, დღის მნათობი,
ყველას უნათებს, ატკობს ბუნებას;
ჩემთვის კი მუდამ ღამეა ბნელი,
არ აქვს საზღვარი შავს მწუხარებას!

(მუხებ შუა ნიკოს აჩრდილი გამოჩნდება)

და იგიც მდევნის... სინდისს მიმხელს...
— რა გინდა ჩემგან? რად არ მსვგებ?
მე შენი სისხლი არ დამიდურია,
ტყუილი არის, რასაც მამრადებ!...

არჩილი. აჭა, ცოდვილო, მოგიახლოვდა
დედ აღსსრულის და სიკვდილისა;
იმედს, ოცნებას გამოეთხოვე
ესრედ მომხიბვლელს, იღუმელ ტკბილს!
გამოეთხოვე ამ არე-მარეს,
გამოეთხოვე შენს მეგობრებსა,
გამოეთხოვე ტურფა თამარის,
გაცისკრეფებულს მის მშვენებას!

არჩილი. მე ჩემს სიუვარულს ფრთებსა
შევასხამ,

აღვაფრენ ზეტას და აღვაუვაგებ;
სიკვდილი ჯერედ ჩემგან შორს არის,
სტყუი, აჩრდილო, დიდ ხანს ვიცოცხლებ!

(მდინარის ნაპირას გაერთხმება, საზარლად ჰყვირის
და ჰბოდავს. აჩრდილი მძიმედ ჰქრება. შემობრბიან
თედო და ბესარიონ),

ბესარიონ. თედო! საზარლად ვინა
ჭყვიროდა?

თედო. იგი აჩილის, გგონებ, ხმას
ჭკავდა!


ბესარიონ. დავინახე, წედან აქეთ
გამოაიარა.

საით წასულა? არსდა სჩანს... (იძახის)

ჭე, არჩილი! არჩილი!

არჩილი. (გამოერკვევა) მე ვინ შეძახის?
მოდით ახლო!

ბესარიონ. შენი ერთგულნი!



თედო. ვინა ჭევიროდა, მეგობარო, ასე
საზარდად?

არჩილ. მომიხლოვდით: მე მოგიტოვებთ
საშინელს ამბავს!
წუხელ მესიზრმა: ვითომ ვიჯექ დრმა ბნელს
უფსკრულში,

იქ არც კი იყო ჭყერი, რომ შითი მესუნთქა.
იქვე სუფევდა შემზარავი, მკვდრული სიჩუმი...
შავი ფიქრები ბედკრულ თავსა დაშტრიალებდნენ
სული შოთავდა... უველათური მაშინ ამტკივდა,
საშინელებს!... იქაც მისი სახე ვიხილე,
აღარ მასვენებს... მითხრა: არჩილ, დაისჯებიო!
იგი არდილი ამ ადგილსაც გამომეცხადა
და რაც იქ მითხრა, მან იგივე გაიმეორა.
მერე ვინ არის ჩემი მკვლეელი? ვინ გამიბედავს?
ვისგან მოველი მე ამ სიკვდილს? — იქნება
თქვენგან?

თუ ასე არის, აჭა, ხმალი და გამათავეთ!

თედო. (უწინ მარჯვენა მხარე შეკვასმეს...
ბესარი. აბა, რას ამბობ?

ბესარიონ. ნურავის შიში ნუ გეჭნება შენ,
მეგობარო!
მტერი ჩვენამდის ვერ მოაღწევს... ჩვენ აქ
მაგრად ვართ!
მარჯვნივ მდინარე, მარცხნივ სალნი კლდენი
გვფარავენ
და ჩრდილოეთით ბურვილი ტყე ირგვლივ
გვარტყია.

მეგობრებიც ხომ დარაჯებად უველგან სდგანან!
არჩილ. მაგას არ სტყუი?

თედო. გავიარათ და თავით დარწმუნდი!

(გადიან წყლის მეორე ნაპირზე. ნისლში გახვეულნი
გამოჩნდებიან: დათო, ირაკლი, გიო და სხვები),

დათო. ჩუ! ამ ადგილებს ვით ვაკვირდები,
ბინა მდინარის იქით ეჭნებათ!
აკერ, კამში შევიდნენ ორნი,
ოჭ მაგ საზიზღრებს ეს არ შერჩებათ!
უნდა გავიუფნეთ ჩვენ სამ ნაწილად
და სამსა მხრიდან თავსა დავუცეთ,
ლეგანი მარცხნით, შენ კიდევ მარჯვნივ,
მე კი ზირდაზირ! აბა წავიდეთ!

(საჩქაროდ გადიან. ბილიკით ჩამოდის თამარ. შემ-
დეგ არჩილი)

თამარ. სად ვიმყოფები? დავმორდი
სატრფოს,

დავმორდი მამას და ნათესავებს,
ველარა ვხედავ ნაცნობ ადგილებს;
დახმული სულთ ვღვრი მწარე ტრემლებს!
ახ, რომ იცოდეს, სად ვიმყოფები,
ნიკო მსწრაფად ჩემთან მოფრინდებოდა;
გამიტაცებდა იგი თავისთან
და ტანჯვას ბოლოდ მოქდებოდა.

არჩილ. (შემოდის) არა! სიკვდილის არ
ერმეხნის...
ბუნების ძალნი ჩემს სუსს უკრძანებენ
— ოჭ, ჩემო მტრედო, შენც აქ ჭეოფილხარ?
სტკბები ბუნების სიმშვენიერით?
მაგრამ, ძვირფასო, რად დაჭდვრემილხარ,
რად იფურები ეგრე მარწმენით?
აბა, გაჭხედე მდინარის კიდეს,
ამ ამწვანებულს ტურფა ბუნებას;
ის მხიარულობს და ჩვენ ორივეს
თითქმის გვილცხავს ბედნიერებას!
აკერ ჩაქუხი ცვრებად იფრქვევა,
გრილი ნიავი ტყეს აშრიალებს;
უოველი ჭხარობს ჩვენსა გარემოს,
მხლელად შენ ერთი ჭდვრი მწარე ტრემლებს.

თამარ. უოველი. რაც კი ჩვენს გარშემოა! —
შენ ტყუილს ამბობ — არა ჭხარობენ;
ისინი ჩემებრ მოთქმით სტირანს
და მე უბედურს თანამიგრძობენ!
არჩილ. მოიხმეთ აქა მონა-მხევალნი...
მუტრებით უბრძანეთ, აქედონ ჩანგი...
სატრფო გაართონ ცეკვით, თამაშით
და გაუნათონ მას სახე-მანგი!*)

(გაიმართება მდინარის პირად ცეკვა. არჩილ და თა-
მარ მაღლობიდან უცქერიან. შემდეგ ერთი ქალი
ჩანგზე ასე დამღერს:)

გნასე ვევაილი,
ადრე სჭკნებოდა;
ფერი უკრთოდა,
იბნიდებოდა!
სატრფო ბულებული
მისი შიკარს იყო
და სხვა ადგილს
ეკულებოდა!
ელის დღე-ღამე,
ელის და სტირის;
ჩაჭკლა სიამე,
აღარ იცინის!
ოჭ, მან, საბრალდომ,
რისთვის არ იცის,
რომ სატრფო აღარ
დაუბრუნდება,
და ასე ტანჯვით,
მოთქმით და კვნესით
სევდას თან მისდევს,
ილევა, სჭკნება!...

(თამარს ტირილი აუვარდება. არჩილი ანუგეშებს,
მაგრამ ამაოდ. მოცეკვავენი და მომღერალნი გა-
დიან).

არჩილ. შენთვის ვხელოვნობ, ჩემო
ღამაზო,

*) მთვარე.

შენთვის მოვიხმე ეს მომღერალნი;
 შენ გასართობად მათ ვაცეკვავებ,
 შენ კი ტრემლებით გვესება თვალნი!
 რად გინდათ ქალებს აწამოთ იგი,
 ვისაც უეგარხართ თქვენ გავიყუებით,
 ვის სიუვარულსაც ვერვინ გამოსთქვამს,
 ვერც მჭერმეტყველი მოქარგულ ენით.
 შენს წინაშე ვარ მუხლ მოდრეკილი
 და შეისმინე ჩემი ვედრება;
 უკანასკნელად მითხარ, ღამაზო,
 ტრფობით დამწვარი ხომ გეუვარება!
 ბედნიერება შენც კარგად იცი,
 უსიუვარულად არ შეიძლება;
 მას რიდასათვის ჰგომბო ჩემს სიუვარულს,
 რატომ ეს გული არ გებრძლება?
 თამარ, შენს ტუჩებს თვალ-უურს ვადევნებ,
 და მოუთმენლად ზასუსს ველი;
 მითხარ საამო, ნუ მიმზერ მტრულად,
 ნუ შეიქმნება ჯალათი, მკვლეელი;
თამარ. თუნდა სამოთხე წინ გადმიშალო
 და ია-ფარდით მართო ეს მხარე, —
 მაინც ერთს გეტყვი: ვერ შეგიუვარებ!
არჩილ. გაწედა მოთმენა! ტანჯვად ვიკმარე!
 ძალას მოვიხმარ! დაგიმონავებ!

(ხელს მოაველებს, მკლავებზე გადიწვენს და კოშკის-
 კენ მიჰყავს. ისმის თოფის ხმა. მას სხვაც მოჰყვება.
 შემორბიან: თედო და ბესარიონ).

თედო. კარგს არას ჰნიშნავს ეს ხმაურობა!
ბესარიონ. ვნახე. ჩვენგანს ანავის ჰგავდა!
თედო. შენ მართალი სიტყვი, დათო
 შურს ძიობს!
ბესარიონ. არ მაქვს იმედი გამარჯვების!
თედო. იარაღს უნდა იარადით გავცემთ
 ზასუსი!
 მე ნიშნს მივცემ!...

(საყვირს უკრავს. აქეთ-იქიდან მეგობრები შემორ-
 ბიან).

არჩილ. რა ამბავია?
ბესარიონ. დათო შურს ძიობს!
არჩილ. დათო შურს ძიობს? ზასუსს
 გავცემთ, არ შევუდრკებით!
 თუ დაგვხატავენ, მას სიკვდილი ძვირად
 დაუსვათ!

(გადიან. საშინელი ბრძოლა ასტყდება. რავდენიმე
 ხნის შემდეგ შემორბის არჩილი ხმალ ამოღებული).

არჩილ. ბედი არ მწყალობს! უღვთოდ
 მიმუხთდა!...
 ჩემი დიდი ცდა ამაოდ რჩება!
 „გამოეთხოვე“ კვლავ თავს დამძახის!...
 სიზმარი შავი უკვე ცხადდება!
 ბედნიერება! სად გაჭფრენილხარ?

მძიმე ბორკილ ქვეშ ტყვედ ვის ჰქევიან?
 თუ სიხარულს ერთს ანიჭებ, სიხარულს
 მეორისათვის უღმობელი ხარ.

ბესარიონ. (შემორბის დაქრილი) გესმის
 თედოს ხმა? ჩვენი მეგობრები
 დაიქსაქსნენ... ზოგი შეიბურეს, ზოგიც
 სიცოცხლეს გამოსაღმეს.
 შენ თავს უშველე, გაცურდი, მდინარის იქით
 ჩემს თეთრს ცხენსა ჰნახავ და თავს უშველე.

არჩილ. ამ ადგილს ვერ მოვშორდები!

ბესარ. დათო გაცხარებული დაგეტებს...
 გესმის, ეს ირაკლის ხმაა.

არჩილ. ირაკლიც მათთან არის.

ბესარ. მე იმან დამჭრა.

არჩილ. რა მოგდის? მარტო რად მტოვებ?

ბესარ. თავს უშველე... (კვდება)

(გარედ ხმაურობა ძლიერდება. ისმის ხმები: „არვინ
 დაინდოთ!“)

არჩილ. ნუ თუ ყოვანიც მიტომ დამჩხავის,
 რომ მამცნოს ბედგურულს დღე აღსასრულის?
 ვგრძნობ, მოახლოვდა, შემიძინა
 სიკვდილის ჟამი და სინანული!

(თამარს დაუჩოქებს)

გთხოვთ ზატივებს, დანაშაულს, ვიცი, შემინდობ!
 რომ სიუვარულს ისედად ვერ ვბოკებ,
 შენ მე მასწავლე სულგრძელობა იმ არსებისა,
 რომლის გულშიაც სიუვარული მოიბოკება!
 — ჰოი აჩრდილო! ამყად დრომას
 შენ აფრიალებ გამარჯვებისას,
 მაგრამ მტრის ხელით მე არ მოვევდები
 არც გულს დავისვავ ტყუილს ვნებისას!
 ჰოი მდინარე! აჭა მიმილე!
 ოცნება შენკენ მოისწრაფება!
 აქ თუ ვიტანჯე გაუხარებლმა,
 იქნებ მანდ ვზოგო მე მოსვენება!

(კლდიდან წყალში გადავარდება. შემოდინან დათო,
 ლევანი და მემდეგ ირაკლი).

დათო. აკერ, ხის ძირას მე ქაღას ვხედავ!

ლევან. შვილო თამარ!

თამარ. (თმა გაწეწილი ისტერიულად
 იციინის) ხა, ხა, ხა!...

ირაკლი. (შემოდის) სადა ხარ, მელავ, სად
 იმალები?

თამარ. (ლევანს გულში ეკვრის და
 თან მდინარისკენ იშვერს ხელს) იქ
 გადავარდა! ხა, ხა, ხა, ხა!...

ლევ. (თამარს მკლავებზე გადაისვენებს)
 ცათა და ქვეყნის დიერთო მზერობედო,

ეფვა-ქუხილთა ძლიერება,
 ღმერთო მადლად! უძლურთ მივარეულად,
 სამყაროს სულთ უკვდავება, --
 მიუაზ წყალობა, დამიბრუნე შვილი თამარი,
 ნუ დასწი მოხუცს, განარადე ეგვლა სსზარი!...

ა. შანშიაშვილი.

ფ ა რ დ ა



უფსკრული...

(ნ ო ვ ე ლ ა)

გიჟმაჟი ენგური შეუბოვრათ მოათამაშებდა თავის ტალღებს.

მოჭქმუოდა, მოგრივლებდა.

ზირ-დაღებულნი ხეობაც ბანს აძლივდა მქუხარე ტალღებს, რომელნიც ხან მრისხანედ ეხეთქებოდნენ ნაპირებზე გაწოლილ მღუმარე შავ ქვესს, ხანაც უკუ ქცეულნი, დამარცხებულნი და აქაფებულნი ისევ ეამბოვრებოდნენ მათ ცბიერად.

ნაზად შესდრულნებდნენ თითქოს თეთრ წვერა მთის დანაბარებს უამბობდნენ მათ...

მაისის დამე იყო.

მთა-ველის მიჯნური, ანტი ნიაჟი, მსუბუქ ფრთებით დაჭქრდა სივრცეში.

მთეთრო ღრუბლის ნაფლეთები ცის კაბადანზე მოსჩანდა როგორც კედლის ქარავანი მღუმარე ტაზე.

ფერ-მკრთალი მწირი ზეცისა დროგამოშვებით თუ გამოიხედავდა თავისი მინახებულნი მიმქრალი თვალებით ღრუბელთა დაცრციელ ქსოვილიდან და ვერცხლის სხივებით ოდნავ აკრიალებდა მსქეთარე ტალღებს, ამბოხს უფოფდა მათ. მაგრამ როდესაც სრულიად ჩამოიხსნიდა მიბნედილ სხივადან ღრუბელთა ჩაღრს, მაშინ კი მისი დისკო დაცურავდა ტალღათა შორის... მაშინ მქუხარე ტალღები გახარებულნი, მეტის ხალისით განაკრძობდნენ თავიანთ სიმღერას.

რუს მანტიში გახვეული თავ ჩაქინდრული მთებიც, რომელნიც აქმდის თავისთვის სდუმდნენ, თითქოს ეოველი მათგანი საკუთარ ჭმუნვას შეუბურიაო, რის დანახვადენ ვარსკვლავთა მიჯნურს, ხმას აყოფებდნენ, ბანს აძლივდნენ ტალღის სიმღერას...

მდინარის ქვიშიან ნაპირზე ჭაბუკი დაძწოდა. ხან იქით გაიხედავდა საითგანაც ოდნავ მბუბრავი ცეცხლი მოსჩანდა, ხან ნაპირთან დაბმულს ხავს უხსლოვლებოდა... ახალუნის ჯიბიდან ამოიღებდა ბურღის და რაღაც საშინელი, მოუთმენელი თრთოლვით დაუწებდა ხავის ცალ გვერდს ხვრეტას.

— საბედისწერა ხავი!... — გაუეფვა ჭაბუკს თავში.

— გვედრები, ღმერთო, მკვლარი მანტი მარტო ხო ის...

— ეგებ ახლა მანტი ვეღირსო მის მშვენიერ ბავთა დაკანბას...

— მაგრამ საშინელებავ, ამას რას ჩავდივარ? იიცხომ სხვებთან ერთად...

ამ საშინელ ფიქრზე, თითქოს ზირველათ მოუვიდაო იგი აზრად, თმა ეალეზე აუღვა... ტანზე ცივმა ჭინჭველებმა გადაურბინეს.

— მეტი გზა არ არის! რად არ ისმინა ჩემი მუდარა?!

— დედა მეცოდება: შენ თუ გამოგვევი, თავს დაიხრჩობსო... ჭმ... — გაიღიმა მწარედ ჭაბუკმა, შეჩერდა, თავი დააქნია თითქოს მწერს იმორებსო და შორს სივრცეს თვალი გაუშტერა.

— გაღმა უნდა გაიფანონ, იქ ეკლესიაში, ჩემი სულის დგმა, ჩემი ცირა სხვას უნდა ამოუღვას გვერდში. მერე ვის? იმ ჩემ სისხლის მსმელს! — ამბობდა ის ცოფმარეული... ხავი მისხნის... ხავი მოსტაცებს მათ ჩემ სულის დგმას!! მერე კი იმას, მკვლარიც რომ იყოს, ტალღებს გამოფსტაცებ... ამ მრისხანე გიჟმაჟ ტალღებს!... — თან ტალღებისკენ გაიხედა, — შეხე, თითქოს მეუქრებთან, სატრფოს წაგართმევთო, მაგრამ...

შავი, მწარე ფიქრები გამოძვრენ დროის საშინელ სორობებიდან.

მოაკონდა მას ის სდამო... როცა მან გზა გადაუღობა თავის სატრფოს... კარკად ახსოვს ეს სურათი. უნდოდა რაღაც ეთქვა... უნდოდა ეთქვა, თუ როგორ იტანჯებოდა, მაგრამ თითქოს ენა ზირში ჩაუვარდაო, ჭაბუკი, რომელიც უტებს ტყეებში კარეულ ღორებს არ უშინდებოდა, გაშეშდა... დაშუნჯდა... ცირა შეკრთა... მისმა თვალებმა ხშირ წამწამებიდან ნაზად გამოაშუქეს. ასე მთვარე გააბობს ხოლმე ხშირ ღრუბლებს და მოჭფენს კარემის აბრეშუმის სხივებს...

— მიუვარხარ, მითხარ, რად მტანჯავ? აღმოხდა ჭაბუკს მღელვარე გუელიდან.

ის კი უარესად შეკრთა. მისი ბაკენი შეირხენ, როგორც ვერხვის ფოთოლი ცელქი ნიავის მიანლოვებაზე. დაწვნი ანთენ, ვით სხეტაკი ღრუბელი განთიადისას.

გიშრის თვალები აკრიალდნენ, როგორც შავი ტბა მთვარის შუქზე...

მისი თვალების ცეცხლი სანთელივით დასწავდა ჭაბუკს, ხშირი წამწამი რომ არ გადაფარებოდა მათ.

— მეც მაუვარხარ... მაგრამ... დედა თავს მოიკლავს, შენ თუ გამოგვევი... რა ვქნა?! — სთქვა და ჭაბუკის თვალიდან უცებ გაჭქრა...

ის სდამო, მთელი თავისი წვირიმდენებით ემაწვილის გულში ღრმთ აღიბუჭდა... მის ბუდის გადაწყვეტი სიტუვები კი ეოველთვის მოქსმდა... თითქოს ანტი ნიაჟი უხურხულებდა უურში, როცა ის ახვარნიშ მიუცემლათ დანეტიალებდა ველებზე...

შორს გაიშა ცხენების თქარა-თქერი. ჭბუკი შეკრთა, ეღდა ეცა. მიწას სსჩქაროდ უური მიუგდო, წამს სუნთქვა შესწევითა და სმენად გარდაიქცა.—მოდან!.. გაუელვა თავში ჭბუკს, ქურდულად ჩაჰკვა მდინარის ნაპირს და სსჩქაროდ ბუჩქებში მიიმაღა.

ზატარა ხანს უკან ნაგში ჩასხდა რამოდენიმე კაცი და ქალა სსთლებით ხელში...

— ვერ წამართმევთ, ჩემია, ჩემია! — გაიმეორა დაჟინებით ჭბუკმა... და მრისხანე ტალღებთან საბრძოლველად მოემზადა...

ჭბუკმა უური მიუგდო. არაფერი მოისმოდა, გარდა მჩქეფარე ტალღების ტლამუნისა.

— ნუ თუ ყველანი შთანთქა მდინარეში?!—გული ისე უძკერდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას აზირებსო. ერთი წამიც და სსშინელი კივილი ლახვრად მოხვდა მის გულს.

კივილი ისეთი ცივი იყო, და ისეთი სსშინელი როგორც სიკვდილი.

ის გაშმაგებული გადაეშვა მდინარეში, თან მიღწერი მკლავებით შედგრად აზობდა ტალღებს.

გავიდა ხანი. კივილი აღარ ისმოდა, აღარც სხვა რამ, მხოლოდ მდინარე ქშოდა ყრუდ, თითქო რაღაცა მწუხარებას, შორეულს, ოდნავ დავიწყებულ ამბავს, მწარე ამბავს მოუთხრობდა თავ ჩაქინდრულ შთებს.

მდინარის მეორე ნაპირზე კი ჭბუკს მუხლთ მოყვარა... მის წინ უძრავად ცირა იღო. მისი სსხე ფერმკრთალი იყო, როგორც ის შთვარე, რომელიც ვერცხლის ტალღებში დასცურავდა და დრო-გამოშვებით გადმოჰხვდავდა ამ არა ვეგულებრივ სურათს.

ჭბუკი ერთ ხანს ჩამტერდებოდა ძვირფასს სსხეულს, შემდეგ უტბად დახრიდა თავს და გაცივებულ ტუჩებს გაშმაგებით დაუწყებდა კოცნას... მაგრამ ამაოდ, ბაკნი არ თრთოდნენ, თვალები ეშის ცეცხლს აღარ აფრქვევდნენ, ზასუხს არავინ აძლევდა.

ჭბუკი კვლავ კოცნიდა, გულში იკრავდა...

— ახლა მანც ჩემი ხარ, ჩემი! სიცოცხლეში არ შედიარს შენი კოცნა... სიცოცხლეში შენ კაკობ მკერდს ვერ დავეკონე...

— ახლა ხომ ვერავინ დამიშლის... ჩემი ხარ, ჩემი! ტალღებს გამოგტაცე, გულში ჩაგიკარ! ტიტველ ტანზე შენი გიშერი თმა შემომეხვია... ახლა ჩემი ხარ!

შემლიდსავით იკრავდა გულში ჭბუკი ცივ გვამს და ქალის თავი ხან ერთ გვერდზე აწედებოდა ხან მეორეზე. ბოლოს ის სრულიად მიეკრა ცივ გვამს თითქოს სურდა, მასთან ერთად ერთ არსებად გადაქცეულიყო... მხურვალე ბაკე სულ ამოხდობით ეკანებოდა მას... ბოლოს გრძობის მორევმა თავისი გრძნეული ტალღები მოხვია ჭბუკს...

უცებ ჭბუკი შეკრთა, შეინძრა და გადიდებული, სსზარელი თვალთ დააშტერდა მის წინ გამოსახულს სსშინელს უფსკრულს.

— მკვდარია!.. — დაიუვირა სსზარლად, ცივი

სსხეული შორს გადაგდო და ძირს დაემხო, რომ არ ჩაეხედა იმ უფსკრულში.

მღელარე ცრემლი ქვიშას ალობდა მთვარემ აიფარა სსხეზე დრუბელთა ჩადრი, თითქოს იმასაც არ სურდა უფსკრულში ჩახედვა...

— მკვდარია. მკვდარია! — იმეორებდნენ შავი ტალღები...

— მკვდარია, — გაიძიოდნენ შავ ზეწარში გახვეული მთები,

— მკვდარია, მკვდარია! სისინებდა ცელქი ნიავი, სსყვარელსავით იტაცებდა ამ ხმას და თავის მიჯნურთ: მძინარე ფოთოლთ, გადასცემდა ნაზად, ჩურჩულით.

3. აბაზისპირელი.



ბრძნული სიტყვები.

სხვების სისულელე ჩვენ ვერას დროს ვერ დაგვაჭკვიანებს.

ნაპოლეონი.

ნუ ჩსთვლი შენს თავს დიდ კაცად იმ ლანდის სიდიადით, რომელსაც შენი ტანი სტოვეებს ხოლმე ჩამამავალი მზის დროს.

პითაგორი.

არტანუბიდან გამოსული თავისუფლება ჯერ კიდევ დიდ ხანს საჭიროებს ჭკვინს.

ბოასტი.

ჩვენ არას დროს არა ვართ არც ისე ბედნიერნი და არც ისე უბედურნი, როგორც ეგ ჩვენ გვეჩვენება ხოლმე ლაროშეფი.

ენის სისუსტე ხშირად გრძობის ძალან მოწმობს.

ჟანჟაკ რუსსო.

თუ ეკონომი თავის თავს არას დროს არ ივიწყებს. სამაგიეროდ აღრე თუ გვიან ხალხი მას დაივიწყებს.

ბოასტი.

კაცთა უოველივე სურვილი რომ შესრულებულიყო, მაშინ მთელი სსმუარო ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა.

მისივე.

კაცი მომაკვდავია თავის შიშით, ხულთ უკვდავია თავის სურვილებით.

მეთაგორი.

არ არის დიადი გენიოსი, რომელსაც თან არ ახლ-
დეს ოდნავი სიგიჟე.

სენეკა.

სიანხხლა უძლეობის ფარ-სმალია.
სეგიური,

მატიოსანი სახელი დიდებული აკლდამა
კურსო.



იოჰან ბაულის წიგნიდან.

(ძველებური გერმანული იგავ-არაკები).

ერთს მოქალაქეს სამი ქალი ჰყავდა და სამივე
კარგა ხანია გასათხოვრები იუვნენ. მეტად უძნელებოდა
მამას გადაუწვიტა, თუ რომელი გაეთხოვებინა ზირველად,
მით უფრო რომ სამთავეს უკვე საქმრები ჰყავდათ.

ერთხელ მამამ მოუწოდა სამთავე ქალს და
უთხრა:

— ჩემო ძვირფასო შვილებო, აი ეს წყალი, დაი-
ბანეთ ხელები, ნურათერთ ნუ შეიმშრალეთ, დეე ისე
შეგაშრეთ ხელები და რომელსაც უგელაზე უფრო ადრე
შეგაშრებათ, იმას ზირველს გავათხოვებო.

სამთავე გასათხოვარი ქალი ისე მოიქცა, როგორც
მამამ უბრძანა. ორი უფროსი და დინჯად ჩამოსდნენ
სკამებზე და ელოდნენ ხელების გაშრობას, ხოლო უმც-
როსი მოუსვენრად და ცუქად იქნედა ორთავე ხელს
უარის ნიშნად და გაიძახოდა:

— არ მინდა გათხოვება, ქმარს არ წაუყვებიო.
ხელების ქნევისგან უმცროსს უგელაზე უფრო ადრე
შეაშრა ხელები და მამამაც, რა თქმა უნდა, ზირველად უმც-
როსი ქალი გაათხოვა.

—:—

ერთ დედაკაცს რაღაცა მძიმე დანაშაული ჩადინა და
ხალხმა ერთხმად გადაუწვიტა შესაფერი სასჯელიც—
საჯაროდ უნდა გაეკრათ სამარცხვინო ბოძზე და ასე უნდა
უოფილიყო ორი დღე და ორი ღამე.

მოსიუვარულე ქმარმა ვერ აიტანა ცოდვის ასეთი
დამცირება და სურვილი განაცხადა ცოდვის მაგიერ ს-
მარცხვინო ბოძზე ის გაეკრათ. ხალხი ყაბუფს კანდა.
სასჯელის მოხდის შემდეგ, როცა ცოლ-ქმარს ღაზაჩაკი
და ჩხუბი მოუვიდოდათ ხოლმე, ცოლი მოურიდებლად
და სხუების თანადარწებითაც ხშირად უსაუფედურებდა
ხოლმე ქმარს:

— მე კი, ღვთისით, მატიოსანი და უხაკლო დე-

დაკაცი ვარ, მაგრამ შენ რა გეთქმის, როცა სამარცხვინო
ბოძზედაც კი იყავი გაკრულიო!

—:—

ერთმა ღვთისმა წყლის სასმელად წყაროზე ჩაიყვანა თა-
ვისი ვირი. ვირმა დალია რა საკმარისი წყალი, შედგა და
უკან დაიხია, მაგრამ ვირის ზატრანი ძალას ატანდა თა-
ვის მეჩანს და არ უშვებდა. ვირი უფრო გაჯიუტდა და
ტლინკების სროლა დაიწყო. გაჯავრებულმა ზატრანმა
ქუსლი ჩაჰკრა ვირს და ასე უსაუფედურა:

— დმერთს ვთიცავ, შენ ჩემზე ჭკვიანი უოფილ-
ხარ. შენ დალიე, გამოსძეხი წყლით და მეტი აღარ გინ-
და. მე კი დავთვრები და მაინც კიდევ ვსვამ ჩემის ამხა-
ნაკების სასიამოვნოდო.

ვალიკო.



დამათქმრებული მოვლენა,

—:—

დღეს ყველასთვის ცხადია, რომ სახელმწიფო
ძალ-დატანებითი ორგანიზაციაა. აქ უმცირესობა
განაგებს უმრავლესობას. აქ პიროვნება ემორჩილება
განსაზღვრულ კანონებს და წესებს. აქ გაბატონე-
ბული ერის წარმომადგენელნი კრიჭაში უდგიან
დაძაბუნებულ ერს და მის გასარესას ლამობენ, ყო-
ველგან სახელმწიფოს ძირითადი თვისებანი ერთნაი-
რი აქვს. მაგრამ ამ ძირითად თვისებათა გამომჟღავ-
ნება არა ერთნაირია სხვა და სხვა სახელმწიფოში.
სახელმწიფო უცვლელი რამ მოვლენა როდია. ის
თავის ისტორიულ მსვლელობაში თანდათან იცვ-
ლება, თანდათან ეგუება ცხოვრების პირობებს. თუ
ამ ცვალებადობას დაუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ
რამდენადაც საზოგადოება ამა თუ იმ სახელმწიფო-
ში მეტად განვითარებულია, იმდენადაც პიროვნება
მეტის თავისუფლების მქონეა, იმდენადაც სახელმ-
წიფოს შემადგენელნი სხვა და სხვა ხალხნი მეტთა-
ვისუფლებას ჰპოებენ თავის კულტურულ და პო-
ლიტიკურ მოთხოვნილებათათვის, ხოლო თავისუფ-
ლებას თან მოსდევს პიროვნების ამაღლება, მისი
სიძლიერე, სიცოცხლის სურვილს გადაქარბებული
შეგნება და, როგორც ამის შედეგი, მეტი გამძლეობა
ყოველივე გაჭირვების დროს. სადაც გინდათ, გადა-
ავდეთ ინგლისელი, ის არავითარ დაბრკოლების წი-
ნაშე ქედს არ მოიხრის, სასოწარკვეთილებას არ მი-
ეცემა, გზას გაიკვლევს და არსებობისათვის ბრძო-
ლაში გამარჯვებული გამოდის. პირიქით, როცა სა-

ხელმწიფო ნაკლებ ზრუნავს თავის ქვეშევრდომზე, როცა ის არ ენდობა თავის მოქალაქეს, მუდამ ეჭვის თვალთ შვკყურებს, ყოველ მის ნაბიჯს თვალს ადევნებს, მის უწმინდეს საიდუმლოებასაც ენება, ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რამ უბრალო მოკითხვის წერილიც ვერ შეუნახავს, მაშინ პიროვნებაც ლაჩრდება, დაბუნდება, სიცოცხლის ხალისი ეკარგება და ყოველივე მასზე მოსულ უბედურებას შებრძოლების მაგიერ ემორჩილება.

თუ რამდენად სახელმწიფოებრივმა ძალდატანებამ დაასუსტა როგორც პიროვნება, ისე მთელი საზოგადოება, მის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს ხოლერის გავრცელება. ხოლერა თავისთავად საშიში სენი არ არის, ის ვრცელდება მხოლოდ სითხის შემწეობით, ჰაერით არ გადადის, მაშ მისგან თავის დაცვაც არც ისე ძნელია. ახლა გადახედეთ მთელ ევროპას. დღეს არც ერთს ევროპის სახელმწიფოში ხოლერა არ არის და არც შეიძლება გაჩნდეს და გავრავლდეს, კულტურული ფინლანდია სულ ოცდაათი ვერსტით არის დაშორებული პეტერბურგზე. პეტერბურგში, ამ დიდებულ იმპერიის სატახტო ქალაქში ხოლერა ჩვეულებრივი სენი გახდა, ხოლო ფინლიანდიის საზღვარზე რომ მიაღწევს, აქ ამაყად შემოსძახებს მას კულტურა: შეჩერდი აქ შენი ალაგი არ არის, იქ ითარეშე, სადაც საბინძურე და დაუდევრობა მეფობსო.

ევროპასაც თავი დავანებოთ. რუსს რომ ჰკითხო, ოსმალეთი უკულტურო, ბარბაროსული ქვეყანააო. ეს უკულტურო ქვეყანაც რუსეთზე უფრო კულტურული გამოდგა და რუსეთში უკვე გაშინაურებული მოარული ოსმალეთის საზღვრის გადალახვას ვერ ახერხებს. და თუ რუსეთში ქალაქის თვითმართველობანიც, საზოგადოებაც და კერძო პიროვნებაც ვერ უმკლავდება სენს, ამას მიზეზი სხვათა

შორის უნდა ვეძიოთ იმ აღვირ წახსნილ თვითნებობაში, რომელმაც დასცა საზოგადოებრივი შემოქმედება, დასცა პიროვნება და შეასუსტა მასში სიცოცხლის ძალა. როდესაც ავადმყოფს რაიმე სენი შეეყრება, ექიმის პირველი საკითხია—თუ როგორია ავადმყოფის სხეულის გამძლეობა. ის ეძიებს ავადმყოფის ორგანიზმში სენის საწინააღმდეგო ძალებს. ამ გვარივე ძალები უნდა ვეძიოთ თვით საზოგადოებაშიც. მერე სად უნდა ჰპოვოთ ის? ერთი მხრით საარაკო ველური, ნახევრად კერპთაყვანისმცემელი, უფიცი, უსუფთაო ბრბო და მეორე მხრით აღვირ წახსნილი, მოთარეშე და მექრთამე მოხელე. აი ის საზოგადოებრივი სურათი, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ რუსეთში. იაპონიის ომის დროს, ცუსიმას და მუკდენთან დამარცხება საერთოდ აღიარებულ იქმნა, როგორც ძველი სახელმწიფო წყობილების დამარცხება. მაგრამ განა ნაკლები დამარცხებაა დღევანდელ მდგომარეობა? დღემდის ხოლერის ბუდეთ ითვლებოდა ინდოეთის ერთი პატარა კუთხე. ამიერიდან კი თამამად შეგვიძლია ეს ბუდე გადავიტანოთ რუსეთის სატახტო ქალაქ პეტერბურგში და საზოგადოდ მთელ რუსეთში. ასეთია შედეგი იმ პოლიტიკურ თვითნებობისა, რომელიც გამეფებულა მთელს რუსეთში. სისუსტე გარედ, სისუსტე შიგნით, უნდომლობა საზოგადოებისადმი, ყოველგან ორგულის ძებნა და ამის შედეგი—გავერანება, დაძაბუნება და ყოველივე უბედურობისათვის მოაუზადებლობა. ნუ თუ ეს უნდა იყოს მმართველთა მიზანი?

რედაქტ.-გამომცემელი: პეტ. სურგულაძე.

